პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 18 აგვისტო. 1978 წ. □ № 194 (17238) □ ფასი 2 კაპ.

შეჯიბრების მოწინავენი



თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ახალგაზრდა მუშებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. თბილისელი ფეიქრები არ ანელებენ სრულიად საკავშირო ალკაკ XVIII ყრილობის მუშაობის დღეებში მიღწეულ შრომითს ტემპს და ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან. საწარმოს კომკავშირელებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის მესამე წლის შვიდი თვის დავალება. მათ ღირსეული წვლილი შეიტანეს კოლექტივის მიერ ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების საქმეში. წარმოებულია ათეულ ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ლენინური კომკავშირის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგას ხართველი წარმოების კომკავლური საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ოსტატის, კომუნისტ თენგიზ ჯოლბორდის ხელმძღვანელობით. ამ მეგობრულმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ხუთწლედის სამი წლის გეგმა სრულიად საკავშირო 60 წლის იუბილესათვის შეასრულოს.

ხუთამზე: მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): მგრეხელები სოფიო ზასეევა, მარეხ არაბული, ოსტატი თენგიზ ჯოლბორდი, თინა ხუციშვილი და ლილი ბურდული.

ბ. მირბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიდ რთველს — დიდი გარჯა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა სოფლის მშრომელებს მეტად საპატიო ამოცანები დაუსახა. ამ დიდი პროგრამის შესრულებისათვის თავდადებით იღვწიან საქართველოს სოფლის მშრომელები. მათ მხურვალედ მოიწონეს ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები და ენერგიულად დაიწყეს ბრძოლა და შრომა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახრულებლად. დღევანდელ ეტაპზე, როცა მემინდვრეები და მეჩაიეები უხვ მოსავალს იწვევენ, დღის წესრიგში დადგა რთველი — ყველაზე პასუხსაგები პერიოდი მევენახეობაში.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ადგილი უკავია მევენახეობას საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მოლიანად ეკონომიკაში, — მთელი სერიოზულობით ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე, — ყურძნის დამზადების გეგმების შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური ძლიერება, რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობა.

როგორც ვიცით, მევენახეობა ისტორიულად ჩამოყალიბებული, ჩვენი რესპუბლიკისათვის ტრადიციული დარგია. ვაზი თითქმის საქართველოს ყველა სოფელშია გავრცელებული. ამიტომაც ყურძნის კრეფა დიდ ორგანიზებულ, რიტმულ შრომას მოითხოვს.

დიდი ხანია დადგენილია, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმაც დაადასტურა, რომ სამრეწველო ჯიშის ვაზის გავრცელების სპეციალურ ზონებად კვლავ რჩება კახეთი და იმერეთი, ნაწილობრივ ქართლის ცალკეული რაიონები, რომელთა წილად რესპუბლიკაში დამზადებული მოელი ამ პროდუქციის 86 პროცენტი მოდის. წლევანდელი რთველი, მეათე ხუთწლედის მესამე წლის რთველი, სწორედ ამ ზონების მევენახეებისა და სოფლის ყველა მშრომელის საპატიო საქმე და სიზრუნველია. კარგად არის ნათქვამი — დიდ რთველს დიდი გარჯა სჭირდება!

წლევანდელი რთველი კი მართლაც დიდია თავისი მასშტაბებით. წლეულს საქართველოს მევენახეებმა საბჭოთა მარანში 512 ათას ტონაზე მეტი ყურძენი უნდა მიიტანონ. ამდენი ყურძენი წლევანდლამდე ჩვენს მევენახეებს არ დაუმზადებიათ.

ვენახების ამასწინანდელმა რესპუბლიკურმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ უადრესად არახელსაყრელი ამინდის გამო გაზაფხულზე ვენახებში სამუშაოები დაგვიანდა. მევენახეებს ამის გამო ბევრი ჯაფა დახვირდათ, რომ აგროწესებით გათვალისწინებული სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეეხრულებინათ, დაეძლიათ ზმირწვიმიანობისა და სეტყვის, გვალვის უარყოფითი შედეგები.

ვაზისადმი ქართველი კაცის ტრადიციულმა სიყვარულმა ყოველგვარი სიძნელე უკან ჩამოიტოვა და ახლა ხართველად გამზადებული ვენახები ავ თვალს არ დაენახება. ვაზები სახიამოვნოდ არის დახუნძლული მტევნებით. ვიდრე რთველი გაჩაღდებოდეს, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ამისათვის უნდა იზრუნონ, რომ ყურძნის კრეფა რიტმულად, შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. რთველის ორგანიზებულად, მოკლე დროში დამთავრებისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უპირველესად წესრიგში უნდა მოიყვანონ ვენახების მისადგომები, სავენახე და სახოფლო გზები, რომ ტრანსპორტმა შეუფერხებლად იმუშაოს — გამართული ტრანსპორტი ხომ წარმატების საწინდარია. აქედანვე უნდა დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომ რთველში სოფლის ყველა მშრომელი აქტიურად მონაწილეობდეს, თითოეულმა უნდა იცოდეს თავისი სამუშაო უბანი, ადგილი.

რთველის ორგანიზებულად დამთავრებაში თავიანთი მაორგანიზებელი როლი უნდა შეასრულონ პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამუშაოთა ავანგარდში კომუნისტები და კომკავშირელები უნდა იყვნენ, ისინი შრომის საუკეთესო მაგალითებს უნდა გვიჩვენებდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ ყურძნის შეუფერხებლად მოლება-გადამუშავება თავის დროზე და მაღალ დონეზე ხდებოდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ რთველი მარტო ყურძნის კრეფა როდია. რთველი გაგრძელებაა იმ დიდი შრომისა, რომელიც ჩვენმა გამრჯე მევენახეებმა მთელი წლის მანძილზე, დარსა თუ ავდარში, ვაზის მოვლა-პატრონობას მოახმარეს. ახლა დიდი გარჯა მართებთ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებს, რომ სახელმწიფო მარანში უკლებლივ მიიტანონ წლის მოსავალი.

წლეულს დიდი ამოცანების წინაშეა „სამტრესტის“ კოლექტივი. როგორ საქართველოს სსრ კვლის მრეწველობის სამინისტროში განაცხადეს, რესპუბლიკის 106 ყურძნის გადასამუშავებელ პირველად ღვინის ქარხანას წლეულს 512 ათასი ტონის ნაცვლად შეუძლია 550-560 ათასი ტონა ყურძენი გადაამუშაოს. „სამტრესტის“ პირველადს საწარმოებს 65 კომპლექსურ-მექანიზებული ხაზი დაემატა. თითოეული ხაზი საათში 20-30 ტონა ყურძენს გადაამუშავებს. წლეულს ყველა ქარხანაში დამონტაჟდა ყურძნის შაქრიანობის განმსაზღვრელი სინჯის ავტომატურად ამღები.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ქარხანას, მაგალითად, ახმეტის, ქინძმარაულის, მარნეულის, მცხეთის ღვინის საწარმოო გაერთიანებებს, ჯერ კიდევ აკლიათ ჭურჭელი. ამოცანა ახლა ის არის, რომ რთველამდე დარჩენილი მეტად მოკლე დრო რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული, გულდასმით უნდა შემოწმდეს ყოველი „ჭვრილმანიც“ კი და ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ რთველი ჩატარდეს მოკლე, შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ, უხვი მოსავლის გადამუშავება ხდებოდეს შეუფერხებლად, მაღალხარისხოვნად!

რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების შეუნელებელი ზრუნვის შედეგად მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად წლეულს ყურძნის შესახყიდმა ფასებმა საგრძნობლად მოიმატა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით წლეულს დაწესდა დანამატები მოსახლეობისაგან ტექნიკური ჯიშების ყურძნის სახელმწიფო შესახყიდ ფასებზე. მოსახლეობისაგან შესყიდულ ერთ კილოგრამ ყურძენს დაემატა საბაზისო ფასის 20 პროცენტი. გარდა ამისა 19 პროცენტი საბაზისო შაქრიანობის ნაცვლად დაწესდა 18 პროცენტი.

პარტიისა და მთავრობის ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის ზრუნვით არის ნაკარნახევი. საქმით სრულდება პარტიის განაწესი: ყველაფერი ხალხისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის! მევენახეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, ადგილობრივმა პრესამ, რადიომ სოფლის მშრომელებს უნდა გააცნონ ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება. გარდა ამისა, მთელი ძალით უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება, დაწესდეს ჭიდლიები, გარდამავალი დროშები, გამოყენებული იქნეს მატერიალური და მორალური წახალისების ყველა შესაძლებლობა.

რთველში დიდი ამოცანების შესრულება აკისრიათ ლექტორებს, პოლიტიკფოორმატორებს, აგიტმხატვრულ ბრიგადებს, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კონტროლისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს. მათ ყოველი ღონისძიებით უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ რთველი იყოს სახალხო. ორგანიზებული, რომ ხაზოგადოებრივი ზვრებიდან ყოველი მტევანი სახელმწიფო მარანში დროზე მიიტანონ და მაღალხარისხოვნად გადამუშავდეს.

საქართველოს მევენახეებო, სოფლის მშრომელებო! ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის რთველი გვიხმობს, სახელმწიფოს მივაყიდოთ 512 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. ეს ჩვენი, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელისა და ღირსების საქმეა!

ხუთწლედის მაჯისცემა

ხარისხის ნიშნით

თორმეტივე სახის პროდუქციას — სახელმწიფო ნიშანი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). დედაქალაქის კონიაკის ქარხანაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს 9 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რის შედეგადაც დამატებით გამოუშვეს 3 მილიონ 312 ათასი მანეთის პროდუქცია.

მეკონიაკეებმა სხვა მხრივაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს დამკვრელურ წელს. რიგგარეშ ქარხნის დირექტორმა ო. რობაქიძემ განაცხადა, შვიდ თვეში სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული პროდუქციის ოდენობის დავალებას აქ მნიშვნელოვნად — მილიონ 167 ათასი მანეთით გადაეჭარბეს. ასევე დიდი გადამეტებით ეაანაღდეს საექსპორტოდ გასაგზავნი პროდუქციის გამოშვების დავალება.

საწარმოს თორმეტივე სახეობის პროდუქციას დღეს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი ამშვენებს. ამ წარმატებას უპირველესად ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის ფართოდ დანერგვა ზედგებად მიაღწიეს. ეს სისტემა ჯერ რესპუბლიკაში პირველად სწორედ აქ დაინერგა.

ქარხანაში ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ საკუბაძე (უფროსი — დ. ელიოზიშვილი) და ჩამოსახმელი (უფროსი — ნ. ხვთისიაშვილი) საამქროები, ბრიგადებს შორის — საეჭსპორტო პროდუქციის გამოშვებისა ის ბრიგადა, რომელსაც გულიკო ცხენოსანიძე ხელმძღვანელობს.

მესამე ადგილზე

მასხარაძმ. ამ დღეებში საბურავების შემკვეთველი ქარხნის კოლექტივის სახელზე სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან.

სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს და პროფკავშირების დარგობრივი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მასხარაძეს საბურავშემკეთებლებს, რომლებიც ფართოდ არიან ჩაბმული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიმდინარე დამკვრელური წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით მესამე საპრიზო ადგილი მიეკუთვნათ.

საწარმოს კოლექტივი გეგმაზომიერი, ნაყოფიერი და თავდადებული შრომით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. ამ ბოლო დროს ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და შრომის სწორი ორგანიზაციის წყალობით აქ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

მასხარაძეებები ზედიზედ მეოთხე კვარტალია, რაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოდიან და საკავშირო მასშტაბით მესამე ადგილს ფლობენ.

მეტი მარცვლეული — სახელმწიფოს ბოდბლში

რესპუბლიკის მემინდვრეები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელო შრომითა მიჩვენებლებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წელთათვის.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა-ვალდებულების შესრულების საქმეში თავი ისახელეს მარნეულის, სიღნაღის და გარდაბნის რაიონების მეკალო-მოვსეულებმა.

გეგმები წესრულეს და ვალდებულების განაღდებისათვის იბრძვიან წითელწყაროელი, თელაველი, გურჯაანელი, მცხეთელი, თეთრიწყაროელი, ბოლნისელი მემინდვრეები.

წითელწყაროს რაიონმა 17 აგვისტოსათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 29.985 ტონა მარცვლეული, რაც გეგმა-ვალდებულების 95,1 პროცენტია.

სულ რესპუბლიკაში 17 აგვისტოსათვის სახელმწიფოს ბეღლში დაბინავებული იყო 102.125 ტონა მარცვლეული. ეს წარსულ წლისდროინდელი მაჩვენებელზე 5.400 ტონით ნაკლებია.

რესპუბლიკაში ლეწვა ეწყება. ამ დღეებში ეწყება გადაწყდეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა-ვალდებულების (160.000 ტონა) განაღდების ბედი. ეინიციდან უამინდობამ დასავლეთ საქართველოს, ნეიტრალურ ზონებ ტტანდ ბეგონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლა.

კომბაინერთა შეჯიბრება

ალოიბაში დაწინაურდნენ

მ. ბოგინაშვილმა ბაბაურის რაიონის ვეფრების საბჭოთა მეურნეობაში დღეში 10 ჰექტარზე აიღო მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

გ. ძავთარაძემ მცხეთის რაიონის წალკის ექსპერიმენტულ მეურნეობაში დღეში 13 ჰექტარზე აიღო პურეულის მოსავალი და ჰექტარზე საშუალოდ 37 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მ. გასპარიანმა თეთრი წყაროს გარეუბნის საბჭოთა მეურნეობაში დღეში 9 ჰექტარზე აიღო თავთავიანების მოსავალი და ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ჯ. ალიევმა დმანისის რაიონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში დღეში 12 ჰექტარზე აიღო მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

გ. სიმონიანცმა ამავე რაიონის ვარდისუბნის საბჭოთა მეურნეობაში დღეში 12 ჰექტარზე აიღო მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე 28 ცენტნერი გალეწა.

პირუტყვს საკვები ექნება

მარნეული. (ხაკ. კორ.). მთელი ძალით აოის გაჩაღებული რაიონში მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლა. წარმატებით შესრულდა სენაჟის წარმოების გეგმა. დავალების გადამეტებით დამზადებულია 1.700 ტონაზე მეტი სენაჟი, ეს კი თითქმის 3 ათასი ტონით მეტია, ვიდრე მარწან ამ დროისათვის ჰქონდათ.

წლიური გეგმის 9.025 ტონის ანგარიშში უკვე გათიბული და დაბინავებულია 7.200 ტონაზე მეტი თივა, რაც 1.363 ტონით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდისათვის დამზადებულს.

ქართველი მექანიზატორები უამირზე

საქართველოს სამოყალაქო ავიაციის სამმართველოს თვითმფრინავმა, რომელიც თბილისი — ნოვოსიბირსკის შიდამართულებით დაფრინავს, მარშრუტი შეიცვალა და აკტიუბინსკში დაეშვა. ტუ — 154 ლაინერის ეკიპაჟმა აქ ჩამოიყვანა ასი საუკეთესო კომბაინერი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან. ქართველმა მჭვინელ-მოწესვლეებმა სურვილი გამოთქვეს დამმარხვლნენ მოძმე ყაზახეთის მიწათმოქმედთ ჭალის უსწრაფესად და მაღალხარისხოვნად დამთავრებაში.

საქართველოს წარგზავნილთა შორისაა პირველი კლასის მექანიზატორი ზაურ ზურაშვილი წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობიდან. შარშან იგი თავის ქალიშვილთან — ლიანთან ერთად, რომელიც მამის თანაშემწედ მუშაობდა, კომბაინერთა რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებული გახდა. კომბაინერმა მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა წლევანდელი ალოობაც და გადაწყვეტა ყაზახეთის ყანებში განეგრძო იგი.

კოლეგების შორის დამსახურებული პატივისცემით სარგებლობენ მემანქანეებიც: პირველი კლასის ტრაქტორისტებიც: ი. მშვილდიშვილი გურჯაანის რაიონის ვეჯნის სახელმწიფო სანერგიდან, მ. სოფიევი — ლაგოდეხის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი, კომბაინზე მუშაობის 30 წლის სტაჟის მქონე კოშუნისტი ა. ნადიბაიძე თიანეთის რაიონის ერწოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობიდან და სხვები.

— ჩვენი კომბაინერების მონაწილეობა ყაზახეთ მოსავლის აღებაში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სამმართველოს უფროსმა ბ. გიგაშვილმა, — უკვე კეთილ ტრადიციად იქცა.

ნალენჯიხა. (საკ. კორ.). საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ბრონზეულ მარკსის სახელობის კოლმეურნეობას მიაშურა სამუშაოდ ნატო მიქავამ. მან სიამოვნებით მიიღო უფროსი ამხანაგების რჩევა-დარიგება მეცხოველეობის ფერმაში მუშაობის დაწყებაზე. შრომისმოყვარე გოგონამ მალე აუღო ალღო ირობების მოვლა-პატრონობას. მნიშვნელოვნად გადაიდა თითოეული ფურის წველადობა და წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ასეა წელსაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის სასახელოდ ნ. მიქავა გარკვეებული ენერგიით მუშაობს. იბრძვის იმისათვის, რომ წლიური გეგმა-ვალდებულება სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავისათვის გაანაღდოს. გაპირველებული 18 ფურიდან თითოეულზე 2 ათასი კილოგრამი რძე, რაც გეგმას 400 კილოგრამით აღემატება.

სურათზე: ნატო მიქავა.

ა. უუფუნიას ფოტო.

მეჩაიეებმა იმარჯვეს

ქობულეთი. („კომუნისტის“ კორ.). ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების დროს დაგვის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა იკისრეს წელს მოკრიფონ 1.515 ტონა ფოთოლი. დაგეგმილებმა პირობა ვადამდე გაანაღდეს. უკვე მოკრიფეს და ხახელმწიფოს მიჰყიდეს 1.600 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

ფოთლის კრეფის წლიური გეგმა-ვალდებულება ვადაზე ადრე შესრულეს ბობოყვათის კოლმეურნეობის მშრომელებმა. აქაურებმა 1.210 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარეს 1.300 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ასევე ფოთლის კრეფის წლიური დავალება შესრულეს ჩაქვის, (ცაცხვაურის, ალიკეთის) საბჭოთა მეურნეობებმა.

ახლა ამ მეურნეობებში ვალდებულების გადამეტებით ყოველდღე ასობით კილოგრამი ჩაის ნედლეული იკრიფება.

საბაგირო გზების აწმყო და მომავალი

კიდული საბაგირო გზები პროგრესული უწყვეტი ტრანსპორტის ერთ-ერთი პერსპექტიული სახეობაა, რომელიც სულ უფრო ფართოდ ვითარდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. მისი შემდგომი განვითარების იუცილებლობაზე ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე.

ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია კიდული საბაგირო გზებისა და მათი ავტომატიზაციის სისტემების დაპროექტებისა და აშენებლობის სამეცნიერო-საწარმოო პროფილის ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი სპეციალიზებული ორგანიზაცია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს საბაგირო გზათა სამმართველო.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოიწონა ის დადებითი გამოცდილება, რომელიც რესპუბლიკის არსებობს საბაგირო გზების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის დარგში. დასახულია განხორციელდეს ამ სახეობის ტრანსპოორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებები, აშენდეს საქართველოს საბაგირო გზათა სამმართველოს ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზა და საბაგირო გზებისათვის მოწყობილობის დამამზადებელი ქარხანა ახალქალაქში.

ამ დღეებში საქართველოს ეწვია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეა მოადგილე ვ. ე. ბირიუკოვი. თბილისში ამხ. ბირიუკოვმა დაათვალიერა საქართველოს საბაგირო გზათა სამმართველოს ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზის მშენებლობა, მოქმედი და მშენებარე სამგზავრო საბაგირო გზები.

ამხ. ბირიუკოვი ეწვია ჯავის რაიონს, გაეცნო თვის გადასაზიდი პირველი სატვირთო კიდული საბაგირო გზის მუშაობას, ეწვია ბშენებარე საბაგირო გზებს ტრაიაებს, რომელთა მეშვეობით ათთვისებენ მთის ძნელად მისაღწევ სათიბებსა და საძოვრებს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

ვ. ე. ბირიუკოვი ესაუბრა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ფ. ს. სანაკოევს, საოლქო კომიტეტის მდივანს ი. ვ. გაბარაევსა და ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს თ. შ. კაბულოვს.

ჭიათურაში ამხ. ბირიუკოვი გაეცნო საბაგირო გზების მუშაობას, რომელთა მეშვეობით ყოველწლიურად გადაჰყავთ 5 მილიონზე მეტი მგზავრი და გადაიკვეთ 9 მილიონი ტონა ტვირთი. იგი იყო ახალი ითხვისის მაღაროებში, სადაც მუშაობს 8 ტონა ტვირთამეწყობის ვაგონის პირველი საბაგირო გზა, დანერგილია მიწისქვეშა ტრანსპორტის საადისპეტჩერო მართვის ავტომატიზებული სისტემა. დარეგულირებულ ფაბრიკაში ამხ. ბირიუკოვი გაეცნო ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზებულ საინფორმაციო სამართავ სისტემას გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით, შეხვდა მუშაებს, სპეციალისტებს, პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს.

მარნეულში ამხ. ბირიუკოვმა დაათვალიერა ბნეიმასატრანსპორტო სისტემა „ლილო-1“ და აშენებარე 50-კილომეტრიანი ბნეიმოტრასა „ლილო-2. დათვალიერების დროს ამხ. ბირიუკოვი განმარტებებს აძლევდა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. მ. გადელია.

მოგზაურობის დროს ვ. ე. ბირიუკოვს ახლდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ჩოფიკაშვილი.

ამხ. ვ. ე. ბირიუკოვი შეხვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ა. პატარიძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს გ. ვ. კოლბინს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ზ. ა. ჩხეიძეს, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს თ. მ. მენთეშაშვილს.

კიდული საბაგირო გზების განვითარების პერსპექტივების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მათს მაღალეფექტიან გამოყენებას განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. აღინიშნა, რომ აუცილებელია დაჩქარდეს საქართველოს საბაგირო გზათა სამმართველოს ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზისა და საბაგირო გზებისათვის მოწყობილობის წარმოებული ქარხნის მშენებლობა ახალქალაქში. განიხილეს ბნეიმოსატრანსპორტო სისტემის „ლილო-2“-ის საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ პროგრესული სახეობის ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისათვის. (საქინფორმი).

17 აგვისტო

„პრავდის“ ფურცლებზე

ყურადღება გასაზვიადებელ მუშენებლობებს!

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „მშენებლობისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმების ულრუნველსაყოფად უკრაინის კომპარტიის ლონეცკის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, რომლის თაობაზეც მიიღო შესაბამისი დადგენილება. გასაშენები მშენებლობებისადმი ყურადღების გაძლიერების საკითხს „პრავდამ“ მოწინავე წერილი დუთმო. „ჩვენს ქვეყანაში გამუდმებით იზრდება კაპიტალური მშენებლობის მასშტაბები, — ვკითხულობთ წერილში. — დიდი ამოცანები დაუსახა მშენებელთა კოლექტივებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა. მათი მოვალეობაა გაუთმაჯობესონ მუშაობა ის დარგებში, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას სოფლის მეურნეობის განვითარებაზე...“

მოწინავე წერილში მოყვანილია ფაქტები, მაგალითები, თუ როგორ წარმართეს კომუნისტთა საქმიანობა მთელ რიგ მრავეზრე რესპუბლიკებში, „ოლქებში საბოლოო მიზნის მისაღწევად — ობიექტების დროულად ასამოქმედებლოდ, ამასთან ერთად ნათქვამია ისიც, რომ ჯერ კიდევ ბევრ ტრესტსა და მთავარ სამმართველოში კვლავ დაჭაპაჭულია სახსრები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, შეუთანხმებელი მუშაობის გამო ირღვევა მშენებლობის რიტმი. საჭიროა უკეთ ვიყენებდეთ კაპიტალურ დაბანდებებს, განვამტკიცებდეთ გეგმიურ და საწარმოო დისციპლინას, სრულყოფდეთ მართვას. „ხუთწლედის მესამე წლის გეგმის წარმატებით შესრულების ინტერესები მოითხოვს, რომ პარტიული ორგანიზაციები მეტ მზრუნველობას იჩენდნენ გასაშენები ობიექტებისადმი და ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ არა მარტო სამუშაოთა ვადებს, არამედ ხარისხსაც... მთავარია გვახსოვდეს: სამშენებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება“.

ყველა საბჭოთა ადამიანის ყურადღება ახლა მიპყრობილია მარცვლეულის ყანებისადმი, სადაც წყდება წლევანდელი მოსავლის ბედი. გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს მომოხლვას სასოფლო-სამეურნეო თემაზე — „ძვირფასია ზაფხულის დღე“. ამავე გვერდზე ვკითხულობთ იმის ძესახებ, თუ როგორ გამოსაწორეს ჩავარდნა გაერთიანება „ტულაჩერმეტის“ ჩამორჩსმელებმა. რომლებმაც წლის დასაწყისში 15 ათასი ტონა ლითონი დააკლეს სახელმწიფოს.

პარტიული ორგანიზაციების ეგოვრებში დაიწყო უმნიშვნელოვანესი ეტაპი — ანგარიშებიბ-არჩევნები. ი. ბილის წერილში „მომთხოვნი თვალით“ ლაპარაკია მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ პარტიულ ჯგუფებში გამართული ანგარიშების შესახებ; „პრავდის“ მესამე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს მკითხველებთან მიმოწერას, სადაც მეგვიძლია გაგეცნოთ მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ კოლექტივში დანერგილი მეთოდის ეფექტს; საუბარია ბელის მოვალეობაზე მშრომელის წინაშე; ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ ვერ მიიღწია სიახლემ კონვეიერამდე და სხვა მრავალ საინტერესო საკითხზე.

ვაზოიში დაბეჭდილია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იან ფოიტიკის სტატია „სწორი გზით ლენინიზმის გზით“. ავრეთვე საზღვარგარეთის ამბები.

ПРАВДА

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური აღზრდა — ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი

ემზადებიან პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ახალი სასწავლო წლისათვის

მშრომელთა იდეური დარაზმულობის დონე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, უპირველეს ყოვლისა, მათს შრომით საქმეებში ვლინდება. ბევრი ცოცხალი მაგალითი შეიძლებოდა მოგვეყანა იმის დასადასტურებლად, თუ რა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ბოლნისის რაიონის მშრომელთა სამეურნეო მიღწევებზე იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა მიერ ამ ბოლო ხანს განხორციელებულმა პოლიტიკურ-აღმზრდელობითმა ღონისძიებებმა. დავასახელებთ ზოგიერთს:

1978 წლის პირველი ნახევრის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში მოპოვებული მიღწევებისათვის მეორე ზონის რაიონებს შორის ბოლნისის რაიონი პირველ ადგილზე გამოვიდა. ასევე თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული მეკარტოფილეობაშიც. დღეისათვის სახელმწიფოს მიღებული აქვს 46.400 ტონამდე კარტოფილი (გეგმა—33.000 ტონა). აქედან საკავშირო ფონდში გეგმიური 20.000 ტონის ნაცვლად გაგზავნილია 27.500 ტონა. მოსავლის აღების დამთავრებამდე საადრეო კარტოფილის მოყვანის ოსტატები დამატებით კიდევ 1000 ტონას მისცემენ სამშობლოს, — ეს მაშინ, როცა ამ ოთხიოდე წლის წინათ რაიონს ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა ძლივს-ძლივობით ირთმევდა თავს 15 ათასი ტონა კარტოფილის მოყვანას. კარგი პირი უჩანს მარცვლეულსაც — ბოლნისელმა მემინდვრეებმა სახელმწიფოს უკვე მისცეს 4.500 ტონა პურეული (წლიური გეგმა — 7.010 ტონა). მკა წარმატებით გრძელდება. ზოგან სიპქტარო მოსავლიანობამ 37-38 ცენტნერს მიაღწია.

დღეს თითოეული ადამიანი იმ პროგრამის განხორციელების პატრიოტული სულისკვეთებით არის შთაგონებული, რომელიც სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ისტორიული დადგენილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმების გადაწყვეტილებებით არის დასახული.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში თვალსაჩინო როლს ასრულებს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება. გასულ სასწავლო წელს პოლიტგანათლების დაწყებითსა და საშუალო რგოლებში, თეორიულ სემინარებზე სასწავლო-საპროგრამო საკითხებს, შრომითი კოლექტივების კონკრეტული ამოცანების შესაბამისად, მათ ყოველდღიურ საქმიანობასთან მჭიდრო კავშირში განიხილავდნენ, რაც მეტ ინტერესს, დამაჯერებლობასა და სიცხოველეს მატებდა მეცადინეობას. ამ მხრივ კარგი გამოცდილება დაგროვეს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, ქოჩულოს, რატვენის, ბოლნისის საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანათლების სკოლებმა და თეორიულმა სემინარებმა. პროპაგანდისტები ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე წარმართავდნენ ყველა მეცადინეობას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის, დიდ ყურადღებას აქცევდნენ სწავლების მასობრივობას, მის შინაარსობრივ გამდიდრებას.

კომუნისტური წრთობის საპროგრამო წიგნებად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები „მცირე მიწა“ და „აღორძინება“. ამ წიგნების განხილვა-შესწავლის მიზნით მრავალჯზის მოეწყო მსმენელთა შეხვედრები მცირე მიწის ეპოპეის ბოლნისელ მონაწილეებთან.

თეორიული საკითხების ღრმად გაშუქებისა და ათვისებისათვის ფართოდ იყო გამოყენებული თვალსაჩინოების საშუალებანი, მრავალფეროვანი პოლიტიკური ლიტერატურა, რაიონული პრესა და რადიო. ამიტომაც იყო, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების პოლიტგანათლების რგოლებსა და თეორიული სემინარების მსმენელებმა შემაჯამებელ მეცადინეობებზე მიმდინარე პოლიტიკის, რაიონის საპირბოროტო საკითხების კარგი ცოდნა გამოავლინეს, პირადი და შრომითი კოლექტივების საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულება მიაღწიეს.

სამწუხაროდ, მათი გამოცდილება გასულ სასწავლო წელს ვერ განზოგადეს კაზრეთისა და ქვემის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მეცადინეობები მშრალად, უინტერესოდ მიმდინარეობდა, მოწყვეტილი იყო პრაქტიკულ ცხოვრებას, აკლდა კონკრეტულობა, სჭარბობდა ზოგადი მსჯელობა. პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტის ბიუროს ამას წინათ პრინციპულად იმსჯელა აღნიშნული მეურნეობების პოლიტგანათლების ქსელში შექმნილ ვითარებაზე და არადამაკმაყოფილებლად შეაფასა მდგომარეობა. მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული დასახელებული საბჭოთა მეურნეობათა იდეოლოგიური დარგის მუშაკები, რომლებმაც იდეურად ვერ უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატება. სუსტი მუშაობისათვის გავაკრიტიკეთ სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა პროპაგანდისტებიც. ბიუროს გაანალიზა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამომწვევი მიზეზები და გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებები დასახა.

პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ რაიონის მოწინავე პროპაგანდისტები ბ. გოგოლაძე, ლ. ჩირაგოვი, თ. ეკეთიშვილი, მ. ბაირამოვი, ზ. უფლეევი, ლ. ლაზარიშვილი, მ. ჯალილოვი, ე. აბასოვი და სხვები ვიხტას მაინც არ ტოვებენ და მუდამ მინდვრებსა და ფერმებში არიან.

ახლა, როცა მეცხოველეობა რაიონში დამკვიდრებულ ფრონტად არის გამოცხადებული, სარაჩლოს, ფანარეოლის, ბოლნისის, ორახლოსა და დარბაზის საბჭოთა მეურნეობების სათიბებში ხშირად ნახავთ პროპაგანდისტებს, აგიტატორებსა და პოლიტინფორმატორებს. ისინი მგზნებარე სიტყვით რაზმავენ ველად ბასულ მშრომელებს პირუტყვის საკვების დამზადების ტემპის დასაჩქარებლად. ქოჩულოს სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მშრომელებმა წლეულს შემჭიდროებულ აგროვადებში და უდანაკარგოდ აიღეს პურეული, 37-38 ცენტნერამდე აიყვანეს სიპქტარო მოსავლიანობა, რაიონში პირველებმა დაამთავრეს მკა. ქოჩულოელ მიქანიზატორთა ინიციატივა დაუყოვნებლივ განაზოგადეს და გაავრცელეს ჩვენმა პროპაგანდისტებმა, აგიტატორებმა და პოლიტინფორმატორებმა. ახლა მათი მაგალითით შრომობენ რატვენელი და ბოლნისელი კომბაინერები, პოლიტსკოლების მსმენელები ო. ლაზარაშვილი, ა. მიქელაძე, ბ. ლონდარაშვილი, კ. ხალილოვი, მ. მეხტიევი და ს. იაგუბოვი.

პოლიტმეცადინეობები დიდად დაეხმარა ქვემო ბოლნისის, ფიროფლოფლის მშრომელებს ნეგატიური მოვლენების, მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხოვრებიდან იდევნება ადრე ფეხმოკიდებული რელიგიური დღესასწაულები „ვაორგობა“ და „ყურბან ბაირამი“. სამაგალითო შემოდის ახალი, სოციალისტური თანაცხოვრებისათვის მისაღები დღეობები. წლეულს შემოდგომაზე, მაგალითად, ბოლნისელი მშრომელები პირველად იზეიმებენ საერთო-სახალხო დღესასწაულს „სამაობას“, რომელიც გამოჩენილი ქართველი მწერალ-დიდაქტიკოსის სულხან-საბა ორბელიანის სახელთან არის დაკავშირებული.

რაიონის მშრომელთა შორის დიდი მხარდაჭერა ჰპოვა რუსთაველ, ქუთაისელ და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ცნობილმა პატრიოტულმა ინიციატივებმა. ყოველ უბანზე ამოღლდა ორგანიზებულობა, საგრძნობლად განმტკიცდა დისციპლინა. ამის შედეგია, რომ რაიონში არ გვყავს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო.

გასულ სასწავლო წელს პროპაგანდისტთა მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა მსმენელთა მიერ მეცადინეობებზე წამოჭრილი საკითხთა პროპაგანდისტის სათანადო დღიურებში აღნუსხვა, საიდაც ცალკე გრაფად გამოყოფილია „მსმენელთა წინადადებები საწარმოს სამეურნეო საქმიანობისა და შრომით კოლექტივებში ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე“. ამ გრაფაში შეტანილი საკითხების შემდგომ მეთოდურ საბჭოსა და პარტიის რაიონულ კომიტეტში იხილავენ. დიდი ყურადღება ეთმობა თვით პროპაგანდისტთა თეორიული ცოდნის ამაღლებასა და მეთოდურ დახელოვნებას. ამ საქმეში მდიდარი გამოცდილება შეგვძინა ჩვენს რაიონთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ მცხეთისა და უკრაინის ბერშადის რაიონების იდეოლოგიური დარგის მუშაკებთან მჭიდრო ურთიერთკავშირმა, პროპაგანდისტთა ზონალურმა თათბირ-სემინარებმა, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით პერიოდულად ტარდება მარნეულის რაიონში აზერბაიჯანული ენაზე. მას დიდი ინტერნაციონალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ახალ სასწავლო წელს, რომელიც ოქტომბრიდან დაიწყება, პარტიის საპროგრამო დებულებებთან, განვითარებული სოციალიზმის ახალი კონსტიტუციის შესწავლასთან ერთად კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა რაიონის ყოველდღიური ცხოვრების საკირბოროტო საკითხების შისწავლას. საამისოდ კიდევ უფრო დაიხვეწება მეცადინეობის-სანიმუშო თემატიკა, სათანადო ყურადღება მიექცევა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებაში მოსახლეობის იმ ნაწილის ჩაბმას, რომლებიც გაერთიანებული არ არის სწავლების რომელიმე ფორმაში. ამ მიზნით შეიქმნება კიდევ ერთი სახალხო უნივერსიტეტი და 9 პოლიტსკოლა. სოფლად მომუშავე კადრებისათვის თითერინტენსიულად მოეწყობა მოკლევადიანი სემინარები. რაიონში უკვე დამთავრდა პოლიტიკური განათლების სისტემის დაკომპლექტება ახალი სასწავლო წლისათვის.

იელისის მესამე დეკადიდან პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის მითითებით მუშაობა დაიწყო დაწყებითი და საშუალო რგოლების პროპაგანდისტთა გადასამზადებელმა კურსებმა.

პარტიის რაიონულ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ახალი სასწავლო წლისათვის მოაწყოს კონკური პოლიტიკური სწავლების სოუკეთესო ორგანიზაციაზე. სოციალისტური შეჯიბრების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება ამა თუ იმ შრომით ობიექტებზე პოლიტიკური სწავლების მიმდინარეობის დონე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბეშმარიტი შრომითი გამარჯვება იქ იქნება, სადაც სწორად არის ორგანიზებული შრომელთა კომუნისტური აღზრდა. სადაც მაღალია მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა. მხოლოდ ასეთ კოლექტივებში შეიძლება იქცეს შრომა თითოეულის შეგნებულ სასიცოცხლო მოთხოვნილებად. ეს კი წარმატებათა გარანტიაა.

ო. ღლონტი,
საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი.

მზადება ახგარიშგება-არჩევნებისათვის

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). რესპუბლიკის პარტიულ [illegible] ორგანიზაციებში დაიწყო [illegible] ორგანიზაციებისა ... ოგრ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის მზადება. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომში რაიონის მრეწველობის დარგის, სკოლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის გაიმართა საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები, რომლებზეც მოხსენებები წაიკითხეს პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. მახარაშვილმა, საორგანიზაციო განყოფილების გამგემ თ. გოგეშელიძემ და კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. წიქარიძემ.

პარტიული ორგანიზაციის მდივნებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ დონეზე მოწყობისათვის დაურიგდათ სპეციალური სამახსოვრო. საანგარიშო-საარჩევნო კომპანიის დაწყებამდე რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში კრებებზე პარტიული კონფერენციიდან დღემდე განვლილ მუშაობაზე პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობის ანგარიშს კომუნისტებს გააცნობენ რაიკომის წევრები, განყოფილებათა გამგეები, პარტიული აქტივი.

ლექციები მეცხოველეებთან

ონი. (საკ. კორ.). რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა. რაიონის მშრომელების წინაშე კვალიფიციურ ლექციებ-მოხსენებებს ხშირად კითხულობენ პარტიის რაიონული კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები.

ამ დღეებში მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა მოეწერა მაისის ალუფარ საძოვრებზე, მეცხოველეობის ფერმებში. მთის ზონის მეცხოველეებმა [illegible] ინტერესით მოისმინეს [illegible] „ცოდნის“ წევრის ბ. ტრაპაიძის [illegible] „[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

17 აგვისტო

საერთაშორისო ცხოვრება

საკლასო იტყობინება

ველავლია ღღეს ✦ ველავლია ღღეს ✦ ველავლია ღღეს

კუბელ კომუნისტთა იუბილე

ჰავანა, (საკადესი). 17 აგვისტოს შესრულდა კუბაში მარქსისტულ-ლენინური პარტიის შექმნის 63-ე წლისთავი. მისი მთავარი ორგანიზატორები ყოფენ ზეშათა მოძრაობის თავლსაჩინო მოღვაწეები ხულიო ანტონიო მელია და კარლოს ბალინიო. თავისი საქმიანობის დაწყებისთანავე კუბის კომუნისტური პარტია გახდა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ბატონობის წინააღმდეგ, ადგილობრივი ექსპლოატატორთა და უცხოელ დამპყრობთა უღლისაგან ხალხის განთავისუფლებისათვის მშრომელთა ბრძოლის ნამდვილი ავანგარდი.

კუბის პროლეტარიატის ხელმძღვანელთა იდეოლოგიურ ჩამოყალიბებაზე, კომუნისტური იდეების განმტკიცებაზე, წერილებსა შესანიშნავი თარიღის გამო გაზეთი „გრან

მაშ ასე, იწყება...



ლეონ ბიბვინთაში საზეიმოდ იხსნება მატჩი მსოფლიო პირველობაზე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილსა და პრეტენდენტ მაია ჩიბურდანიძეს შორის.

დებულების თანახმად, მეტოქეებმა უნდა გაითამაშონ 16 პარტია. თავისი წოდების შესანარჩუნებლად მსოფლიო ჩემპიონს ხელს აძლევს მატჩის ფრედ დამთავრებაც კი. ხოლო პრეტენდენტმა მხოლოდ გამარჯვებისათვის უნდა იბრძოლოს. კვირაში გათამაშდება სამი პარტია. თითოეულ მეტოქეს აქვს ხამ-ხამი „ტაიმ-აუტის“ უფლება.

მატჩის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი, საერთაშორისო ოსტატი იაროსლავ შაიტარი (ჩეხოსლოვაკია). მისი მოადგილეა საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი ლევ აბრამოვი (საბჭოთა კავშირი).

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება მოვაგროვოთ ჩემპიონისა და პრეტენდენტის შემოქმედებითი გზები, შემდეგ გავაცნოთ მათი მწვრთნელები.

ეს მატჩი ნონა გაფრინდაშვილისათვის მეექვსე ასპარეზობაა მსოფლიოს პირველობაზე. ადრე იგი შეხვდა სულ სხვადასხვა თაობისა და შემოქმედებითი მიმართულების მოჭადრაკეებს — ე. ბელოვას, ა. კუშნირს (სამჯერ) და ნ. ალექსანდრიას. ამ მატჩებში გაფრინდაშვილის უპირატესობა სრულიად უდავო იყო.

მსოფლიოს ჩემპიონი ერთადერთი მოჭადრაკე ქალია, რომელიც ბევრს და წარმატებით თამაშობს ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირებში. ორჯერ ნონა გამოვიდა დორტმუნდის ტრადიციულ ფესტივალზე (მას „დორტმუნდის საჭადრაკო დღეები“ ჰქვია) და სულ ცოტაღა დააკლდა ვაჟი დიდოსტატის ბალამდე. **ნონა გაფრინდაშვილმა დიდი და საპატიო გამარჯვება იზეიმა მეტად ძლიერ საერთაშორისო ტურნირში რომელიც ქ. ლონ-პაინში (აშშ) გაიმართა.** აქ მან პირველი-მეოთხე ადგილები გაიყო დიდოსტატებთან ბალამოვთან (საბჭოთა კავშირი), პარსონსთან (არგენტინა) და ბახოვიჩთან (იუგოსლავია). ამავე დროს ნონამ მოიპოვა ოცი დიდოსტატის პირველი ბალი. ორსაბალი დებულების თანახმად, მაძიებელმა სამ წელიწადში ორი ბალი უნდა მოიპოვოს, რათა ეს უმაღლესი საჭადრაკო წოდება მიიღოს. ეჭვგარეშეა, რომ ნონა დასძლევს ამ „ჯებირსაც“. საინტერესოა, რომ ლონ-პაინის ასპარეზობის შემდეგ განთქმულმა ამერიკელმა დიდოსტატმა სამეულ რეშევსკიმ განაცხადა: „ქალის ასეთი ძლიერი თამაში მე საერთოდ არ მიგიგია“.

რაც შეეხება ქალთა საერთაშორისო, თუ საკავშირო შეჯიბრებებს, აქ ნონა გაფრინდაშვილის მიერ მოპოვებული პირველი პრიზების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

წლეულს მსოფლიოს პირველობაზე მატჩისათვის მზადებასთან დაკავშირებით ნონა შედარებით ცოტას თამაშობდა. მან პირველი პრიზი მოიპოვა ბელგრადში „8 მარტის“ ტურნირში და მეორე-მესამე ადგილები გაიყო ვაჟთა შორის დორტმუნდში ინგლისელ დიდოსტატ კინთან. ამასთან მსოფლიოს ჩემპიონმა საინტერესო პარტიაში სძლია პირველ ადგილზე გამოსულ ცნობილ შვედ დიდოსტატ ანდერსონს. საგულისხმო ფაქტია, რომ ანდერსონს მატჩში დამარცხებული ჰყავს განთქმული დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენი — 5,5:2,5.

მაია ჩიბურდანიძე სწორედ იმ წელს დაიბადა, როდესაც ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი გახდა. მაია თუ შეიძლება ასე ითქვას, ელვის სისწრაფით დაწინაურდა. ყოველ შემთხვევაში, მან მოახერხა მანამდე საერთაშორისო ოსტატის, შემდეგ კი საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მოპოვების რეკორდები. თავისთავად ცხადია, **17 წლის ასაკში არავინ გამხდარა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი.**

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მაიასათვის უკანასკნელი ორი წელი. **იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა გოგონთა შორის,** ერთ-ერთი საპრიზო ადგილი დაიკავა სახალთაშორისო ტურნირში და პრეტენდენტთა ასპარეზობაში თამაშის უფლება მოიპოვა. შარშანდელი წლის მიწურულში ლვოვში მაია ჩიბურდანიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. პრეტენდენტთა მატჩებში მან ჯერ ნანა ალექსანდრიას სძლია, შემდეგ ელენე ახმილოვსკაიას, ფინალურ მატჩში კი აკა კუშნირს.

წლეულს მაიამ სამ შეჯიბრებაში ითამაშა. გარდა კუშნირთან უკვე აღნიშნული მატჩისა, ჩიბურდანიძემ მონაწილეობა მიიღო ბუდაპეშტის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც დამაჯერებლად მოიპოვა პირველი პრიზი. სულ ახლახან მაიამ, როგორც ცნობილია, ითამაშა ეილნიუსში ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მთელ რიგ შეხვედრებში ღირსეულად გაუმკლავდა მრავალხაციან დიდოსტატებს. იმავე დიდოსტატმა რეშევსკიმ აღნიშნა მაიას დიდი გამჭრახობა. ქართველმა მოჭადრაკემ გონებამახვილური თამაშით იხსნა პოზიცია რეშევსკისთან, რომელიც ბევრ ექსპერტს წაგებული ეგონა.

მატჩი ნონა გაფრინდაშვილთან მაიასათვის ყველაზე უფრო სპასუხისმგებლო ასპარეზობაა მის შედარებით ხანმოკლე, მაგრამ უკვე საკმაოდ მდიდარ საჭადრაკო პრაქტიკაში.

• • •

სურათზე: 1976 წლის 36-ე საკავშირო ჩემპიონატი — ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის შეხვედრა. ამის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი ერთმანეთს არ შეხვედრიან. და აი, ეს დროც დადგა, ხვალ იხილნი მსოფლიო პირველობის პირველ პარტიას გაითამაშებენ.

მატჩის წინ გამოიცა

ბაღდადში ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილსა და პრეტენდენტ მაია ჩიბურდანიძეს მატჩის წინ ხსრ კავშირის ხაჭადრაკო ფედერაციამ და საქართველოს საჭადრაკო ფედერაციამ გამოსცეს სპეციალური ბიულეტენი.

—ბიულეტენში კითხულობთ: „ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩი მსოფლიო პირველობაზე დიდი მოვლენაა საბჭოთა ჭადრაკის ისტორიაში. საკმარისია უბრალოდ თვალი გადავლო ულიანოვსკის ქალაქის ბაღებზე, ქალთა პაემრობის მატიანეს, რომ დარწმუნდე ამ მატჩის მიმზიდველობაში. მასში ერთმანეთს დაუპირისპირდა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის ბრწყინვალე შემოქმედება, უშეღავათო ბრძოლისუნარიანობა და ახალგაზრდა პრეტენდენტის, სსრ კავშირის ჩემპიონის ნაკლებად გამოცდილი, მაგრამ მგზნებარე შემართება. ძნელი და საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი“. ამ ბიულეტენში მკითხველი გაეცნობა ორივე მეტოქის წარმატებათა ქრონოლოგიურ ნუსხებს, ფიდეს გადაწყვეტილებას მატჩის რეგულამენტის თაობაზე, ნონა გაფრინდაშვილის აზრს მაია ჩიბურდანიძის შესახებ და პირიქით. ბიულეტენში მოყვანილია მსოფლიო ჩემპიონის მიერ ნათამაშევი და საჭადრაკო ხელოვნების შედევრებად აღიარებული, ოდრეთვე ახალგაზრდა პრეტენდენტის პირველი გამორჩეული პარტიები.

გამოცემა, რომელიც შეადგინა საერთაშორისო არბიტრმა ო. გიორგაძემ, უხვად არის დასურათებული.



რეუ პოზიციაში

ბაბიო, 17 აგვისტო. (საკუთები). მსოფლიოს პირველობაზე ბატონის მეცადინე პარტია გადაიდო და 18 აგვისტოს დამთავრდება.

აი ეს პარტიაც:

კორჩნოი — კარპოვი
ლაზიერის გამბიტი

1. c4 ᲂf6 2. ᲂc3 e6 3. ᲂf3 d5 4. d4 ᲂe7 5. ᲂg5 h6 6. ᲂh4 0-0 7. ᲂc1 b6 8. ᲂ:f6 ᲂ:f6 9. cd ed 10. g3 c6 11. ᲂg2 ᲂf5 12. 0-0 ᲂd6 13. e3 ᲂd7 14. ᲂe1 ᲂfe8 15. ᲂd3 g6 16. ᲂf4 ᲂg7 17. g4 ᲂe6 18. h3 ᲂf8 19. ᲂe6 ᲂ:e6 20. ᲂd8 ᲂad8 21. ᲂc2 ᲂc7 22. ᲂa4 ᲂd7 23. b3 ᲂe6 24. ᲂc3 ᲂd6 25. b4 ᲂf8 26. ᲂe2 b5 27. ᲂb3 ᲂa8 28. a4 ba 29. ᲂ:a4 ᲂb6 30. ᲂb3 ᲂb8 31. ᲂf4 ᲂc4 32. ᲂa4 f5 33. gf ᲂ:f5 34. ᲂ:a7 ᲂ:b4 35. ᲂa2 ᲂc8 36. ᲂc1 ᲂb7 37. ᲂa4 ᲂf7 38. ᲂ:c4 dc 39. ᲂ:c4 ᲂf5 40. ᲂd3 ᲂg7 და ამ პოზიციაში პარტია გადაიდო. მომდევნო ხვლა პრეტენდენტმა ჩაიწერა.

მეცამეტე პარტიაში უკვე მესამედ გათამაშდა ლაზიერის გამბიტი. საწყისი ექვსი სვლა ისეთივე იყო, როგორც მატჩის პირველ პარტიაში, შემდეგ კი მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

15 სვლის შემდეგ მეტოქეებმა დაასრულეს ძალების მობილიზაცია. დაიწყო ხანგრძლივი პოზიციური მანევრირება. ოპერაციები ორივე ფრთაზე და ცენტრში მიმდინარეობდა.

პარტიის გადადების წინ პრეტენდენტმა შესწირა ხარსხი. გადადებულ რთულ პოზიციაში თეთრებს ლაზიერი, ეტლი, კუ, მხედარი და ოთხი პაიკი აქვთ, შავებს — ლაზიერი, ორი ეტლი, კუ და სამი პაიკი.



რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

მოკლედ

კალათბურთი. ესპანეთში გრძელდება გოგონათა (17 წლის) ევროპის ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენებმა რიგით მესამე მატჩი გამართეს და დაამარცხეს ტუნისის გუნდი — 143:25. ქალაჯგუფში 6-6 ქულით ლიდერობენ საბჭოთა და იტალიელი კალთბურთელები.

ბაღდადი. ესპანეთის ქალაქ მონტილიაში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი. პირველ ტურში საბჭოთა დიდოსტატმა სასსკიმ დაამარცხა ესპანელი ვიზიერი, ხოლო მეორეში წაგო შეხვედრა ინგლისელ მაილსთან.

ფეხბურთი. ირანის ქალაქ ახვაზში სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაამარცხა საკლუბო გუნდი „ხუზისტანი“ (3:0), ხოლო ბაქოს „ნეფტჩიმ“ ირანის ქალაქ რეშთში — „სეფიდრუდი“ (2:1). ცსკა ოსეოფეგა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ორმეოცელები დრეზდენში დაამარცხეს ადგილობრივ „დინამოსტან“ მატჩში (0:1). მანამდე კი ცსკამ ფრედ (2:2) ითამაშა ბერლინის „დინამოსთან“.

ფრანკფურთი. ხარკოვში გრძელდება ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. უკვე გამოვლინდნენ ფინალური ოთხეულის მონაწილენი — სხრ კავშირის I და II, პოლონეთისა და კუბის ნაკრები გუნდები.

ველოსპორტი. მიუნხენში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი. უკვე გათამაშდა მეედლების პირველი კომპლექტი. 300 სპორტსმენი ასპარეზობდა ადგილიდან 1000 მეტრზე რბოლაში, რომელიც ყველას აკმაყოფილებდა ლოტარ ტოროსმა (გდრ). მან ეს მანძილი დაფარა 1 წუთსა და 5,23 წამში. მეორე ადგილზე გავიდა კანადელი ჯოსელინ ლოველი, მესამეზე — ჩემპიონის თანამემამულე რაინერ ჰენიში.

ძალოსნობა. შეეიცარიის ქალაქ ციურიხში „ლეტცენგრუნდის“ სტადიონზე საინტერესოდ წარიმართა ასპარეზობა ფრანკ ტურნერსა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კიეველმა იური სედიხმა ჯობა მსოფლიოს ახალ რეკორდსენს, კარლ-ჰანს რიმს (გფრ). სედიხის შედეგია 79,76 მეტრი.

ტელევიზია —

18 აგვისტო

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფიქრი ბაზაზე“, 17.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ასტრახანი“ და „ეტიუთი ზაფხული“ (ფერადი), 17.25 — „ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება, 17.40 — განცხადებები, 17.45 — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ (ლენინგრადიდან), 18.30 — „პარტიული ცხოვრება“ — პლენუმის საპასუხოდ, 19.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ერთი დღის ამბავი“ (ფერადი), 19.20 — „დაბადების წელი — 1918“, 19.50 — მეერიან კინოვარსკვლავები გადაცემა მესამე (ფერადი), 20.50 — „სოფლის საღამოები საზრუნავი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „კინოპანორამა“ (მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — დოკუმენტური ფილმები „ბირიუკოვების ოჯახი“, „ცისფერი კალენდარი“ (ფერადი), 19.00 — განცხადებები, 19.05 — მხატვრული ფილმი „ხელი ხელს ბანს“ (ფერადი).

რადიო —

19 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ანგარიში“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.33 — ქართული სალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.15 — „გამარჯობა, ამხანაგო!“ (მოსკოვიდან), 11.20 — „უკრავს სიმფონიის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი, 11.40 — „ჯანმრთელობა“ (მოსკოვიდან), 12.00 — „ორგანიზატორული მუშაობა პლუს კომპეტენტურობა“, 12.15 — ს. ნასიძე კამერული სიმფონია და მეორე საფორტეპიანო კონცერტი, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან). 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.57 — ა. დე სენტ-ეგზიუპერი. „ადამიანთა მიწა“, რადიოდადგმა, 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, ანწყობილება“ (კონცერტი), 19.00 — „შოლტი“. საბირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი, 19.30 — პოპულარული რუსული კამერული მუსიკა, 20.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები — სადირიჟორო პულტთანაა ვ. მიქელაძე“, 21.00 — „ძალის-პირული“, 21.15 — „ეკრანის მელოდიები“, 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „როცა რედაქციაში წერილი მოდის...“, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს „საქმთავარენერგოს“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 50 წლისა გარდაიცვალა ამავე სამმართველოს მიდროტექნიკური სამსახურის უფროსი, სკკპ წევრი 1963 წლიდან

თენგიზ ლავრენტის ძე კორინთელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მშობლიური სიტბო

საქართველოს ცის ქვეშ

რა უმალ გაფრინდა ერთი თვე. ხვალ-ზეგ თავიანთ სამშობლოში უნდა დავიდნენ ეს თვალებბრიალა ბიჭები და გოგონები.

ჩვენებურები, ქართველი ბავშვები უკვე მესამე წელია სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოპყავს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას.

— რა მიზნით აკეთებთ ამას? „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ოთარ გიგინეიშვილმა** თქვა:

— მოგახსენებთ, ქართველები მრავალ ქვეყანაში ცხოვრობენ. ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით მოსწყდნენ საამშობლო მიწას. უცხოეთში მცხოვრებთა შორის ცოტაა ისეთი, რომელიც თავისი სურვილით წასულა საქართველოდან. ეს ადრე, კარგა ხნის წინათ მოხდა. მაგრამ ხომ დარჩამთ მათ შთამომავლობა? აი, ამ შთამომავლობაზე დიდი გავლენა იქონია საამშობლოს სიმორეკ. ძალზე მწვავედ დადგა ენის პრობლემა. მართალია, ქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ენა შეინარჩუნა, მაგრამ ნაწილი ჰკარგავს მას, ან უკვე დაკარგა.

უცხოეთში მცხოვრებ ქართველებიდან ძალიან ცოტას თუ უნახავს საქართველო, მოწყვეტილი არიან ჩვენს კულტურულ ცხოვრებას, რაც დენაციონალიზაციის საშიშროებას იწვევს. საჭიროა, რომ მათ ბავშვობიდანვე შეისწავლონ ქართული ენა, ამიტომ ჩვენი საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბავშვებთან მუშაობას.

— და ნაყოფიერია ეს მუშაობა?

— საკმარისად. ბავშვების ერთმა ნაწილმა თითქმის არ იცის ქართული, ვინც ლაპარაკობს უმთავრესად დიალექტით, ზოგი არქაულადაც კი, წარმოიდგინეთ ბევრ ისეთს სიტყვას გაგონებთ, ჩვენში რომ უკვე დაკარგულია, მაგრამ ისინი ძალიან მალე ითვისებენ სალიტერატურო ქართულს. მაგალითად, ნინო ხიმშიაშვილმა შარშან სულ არ იცოდა ქართული ენა, წელს კი საკმაოდ კარგად ლაპარაკობს. გუშინწინ ავედი მათთან. წყნეთში ისვენებენ განათლების მუშაკთა პროფკავშირების პიონერთა ბანაკში. ჰოდა, ხათუნა ჯინჭარაძეს ვეკითხები, ჩემი შოფერი ხომ არ დაგინახავს-მეთქი, შოფერი კი არა, მძღოლიო, მითხრა.

— პატიცემულო ოთარ, მოდი, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ თქვენი საზოგადოების საქმიანობაზე.

— ეს მუშაობა მრავალმხრივია. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებისათვის საზოგადოება ექვს ენაზე ბეჭდავს ლიტერატურას. უკვე გამოვიდა ქართული ენის თვითმასწავლებლები ფრანგულის, გერმანულისა და ინგლისურის მცოდნეთათვის.

თვითმასწავლებლები მალე გამოვა აგრეთვე სხვა ენების მცოდნეთათვისაც. რეგულარულად გამოდის ლექსიკონებს, სასაუბრო ბარმეურებს სხვადასხვა ენებზე, სადაც გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის მიღწევები კულტურის, სპორტის და სხვა დარგებში. ეუშვებთ გრამფირფიტებს, რომლებზეც ჩაწერილია ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები. მათ დართული აქვთ ბიმღერების ტექსტი ქართულად და იმ ენაზე, სადაც უნდა გავრცელდეს ეს ფირფიტები.

ფრანგულად გამოვიდა „საქართველოს ისტორია თვალს ერთი გადაგლებით“. გამოვიდა ფეერადი ფოტოებით დასურათებული ალბომი „ქართული ალფაბეტი“ ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. ყოველივე ეს დიდ დახმარებას გაუწევს თანამემამულეებს. უკანასკნელ ხანებში ბევრი მათგანი გამოთქვამს სურვილს, რომ განათლება ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მიიღოს.

ეს კი არა მარტო ჩვენი თანამემამულეების პატრიოტულ მისწრაფებებზე ლაპარაკობს, არამედ — უცხოეთში საბჭოთა განათლების სისტემის ავტორიტეტს ზრდაზეც. საბჭოთა ხალხების კულტურით და, კერძოდ, საქართველოს წარსულით და დღევანდელობით ახლა ბევრგან არიან დაინტერესებული.

ასეთი შეხვედრა მქონდა: უცხოეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, სადაც ქართულ ენას ასწავლიან, ვიკითხე, როდის და რატომ გაუჩნდათ სურვილი, რომ ჩვენი ენა შეესწავლათ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა პირველმა გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი და ამით ამერიკას, გაუსწოროო, მეპასუხეს. ჩვენ მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ ჯერ კიდევ ცუდად ვიცნობთ მრავალეროვან საბჭოთა ხალხს, მის ისტორიას, კულტურას, მის დღევანდელ დღეს.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებისათვის ჩვენი საზოგადოება უშვებს გაზეთ „საამშობლოს“. ვაგზავნით ქართულ წიგნებსა და ჟურნალებს. უკანასკნელ წლებში უცხოეთში შეიქმნა რამდენიმე ქართული ბიბლიოთეკა, ბავშვებისათვის ჩამოყალიბდა რამდენიმე სკოლა ქართული ენის შესასწავლად.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების მიერ გამოცემული ქართული ენის თვითმასწავლებლები ამჟამად ძირითადი სახელმძღვანელოა ქართველოლოგიური ცენტრებისათვის, სადაც ისწავლება ქართული, და მათთვისაც, ვინც ინტერესს იჩენს ჩვენი ენისადმი. მუშაობა კი ძირითადად საზოგადოებრივი დატვირთვის წესით ეკიდება. წელს ძალიან დაგეუხმარნენ წყნეთის პიონერთა ბანაკის დირექცია (დირექტორი ნ. დობროყვინიძე) და მედგამგები. მათ სისხლხორცეულ საქმედ გაიხადეს სტუმარი ბავშვების მოვლა-პატრონობა. წარმოიდგინეთ, ალმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ლ. ჩლაძე ყოველგვარი გასამჯელოსა და ხელფასის გარეშე ორი კვირაა ემსახურება პატარებს. ასევეა, შეადგენი ნ. ბიბილური, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. გალოგრეკი, უფროსი რეფერენტი გ. აბაშიძე და სხვები. მადლობის მეტი რა გვეთქმის მათ მიმართ!

— ამათ გარდა, სხვა ჯგუფიც ხომ არ არის ჩამოსული?

— კი. ზოგი გაგარში ისვენებს. საგანგებოდ, რომ წელს შარშანდელზე მეტნი ჩამოვიდნენ. ბავშვები ათვალიერებენ ჩვენს ისტორიულ ძეგლებს, ეცნობიან ქართულ ლიტერატურას, სწავლობენ ჩვენებურ სიმღერებსა და ცეკვებს, ქართულად გვწერენ წერილებს.

... ჩვენ ვნახეთ პატარა თანამემამულეები როგორ მღეროდნენ ერთხმად „ეუფუნა წვიმა მოვიდა“, შემდეგ როგორ წამოიმართა ნინო ხიმშიაშვილი და თვალებში სხივჩამდგარმა ლოცვა-ავი წამოიწყო „ო, ენავ ჩემო...“

...და დავიჯერეთ, რომ ისინი არ დაივიწყებენ მამა-პაპის ენას.

სურათზე: ნორჩი სტუმრები წყნეთში საბჭოთა ბავშვებთან ერთად.

ედ. გიგილაშვილის ფოტო.

მსოფლიოს ხალხთა ენებზე

წიგნების თაროს შემამტა უცხო ენებზე გამოსული რამდენიმე ნაწარმოები. კერძოდ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე ითარგმნა ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, ხოლო ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა.

პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „ოქროსთვალის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“... გერმანულ ენაზე აკეთერა ჰერმან ბუდენჰიგმა. წიგნი ნიკოლოზ ტიბონოვის წინასიტყვაობით გამოსცა ხალხმეწიფო გამომცემლობა „გათნოლგამ“.

ფრანგ მკითხველს შესაძლებლობა მიეცა გაეცნოს გრიგოლ აბაშიძისა და იოსებ ნონეშვილის ლექსებს.

წელს გამომცემლობა გამოუშვებს სულხან-საბა ორბელიანის ოვაგ-ორაკებს გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ინგლისელმა პოეტმა დონალდ რეიფილდმა თარგმნა ვაჟა-ფშაველას სამი პოემა „გველისმჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარმასპინძელი“. ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოიცემა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სარჩობელაზე“.

„საერთაშორისო წიგნის“ სრულიად საკავშირო გაერთიანება ამ წიგნების ნაწილს შეიძენ ყიდის საზღვარგარეთის მკითხველისათვის. (საინფორმო).

შენ გიმღერ, ახალგაზრდოვავ!

სამეგობლოს თავდადებული შვილის სახე შექმნა კომპოზიტორმა ნოდარ გიგაურმა კანტატაში „მისი სახელი კომკავშირია“.

თანამედროვე ქართული მუსიკა მდიდარია სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით, რომლებშიც ასახულია საბჭოთა ახალგაზრდა თაობის შრომობდგენელთა სახეები. კომპოზიტორმა ვახტანგ ჭელეხავამ ამას წინათ დაამთავრა სიმფონიური პოემა „ნიგბრეზინსკაია“. ენგურჰესისა და მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ახალგაზრდა მშენებლებს მიეძღვნა გომარ სიხარულიძის ვოკალური ციკლი „ახალგაზრდული“. მზია ფიალკოვშვილის სიმღერები და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

სექტემბერში შეჯამდება კომკავშირისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებთა კონკურსის, შედეგები, რომელიც გამოაცხადეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა, რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ. კონკურსზე გამარჯვებული ნაწარმოებები სრულიად საკავშირო ალკა 60 წლისთავის დღესასწაულს დღეებში შესრულდება. (საინფორმო).

ძაძა და შვილი ანსორის როლში

ცაგერი. (საკ. კორ.) კულტურის სახლმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა გამოჩენილი ქართველი დრამატურგის ს. შანშიაშვილის დრამა „ანსორი“.

ეს სპექტაკლი აქ პირველად 40 წლის წინათ დადგა ადგილობრივ სცენისმოყვარეულთა ჯგუფმა შ. მეიკვანაძისა და პ. ლოლაძის ხელმძღვანელობით.

მაშინ ანსორის როლს ასრულებდა სცენისმოყვარე მსახიობი აკაკი ხეცურიანი, ახლა კი მისი შვილი — ბორის ხეცურიანი.

მოგვითხრობთ ხალხმეწიფო პრემიის ლაურეატზე

კეთილი წვლილი

გასული წლის დეკემბერში მან 50 წელი შეუსრულებოდა. 1973 წლის ივლისის შუა რიცხვებში მისი სიკვდილით გულდაწყვეტილმა ახლობლებმა და მეგობრებმა გვაცნეს ახალგაზრდა კაცი, საყვარელი ადამიანი, არქიტექტორი.

თეიმურაზ მიხეილის ძე მარკოზაშვილს, სპეციალისტების დიდ ჯგუფთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1977 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

როდესაც სახელმწიფო პრემიის ლაურეატის თ. მარკოზაშვილის შესახებ პატარა წერილს დაწერა გადაეწყვიტე, გავეცანი მის ნამოღვაწარს და, მართალი გითხრათ, გამაკვირდა — რამდენი რამ მოუსწრია! სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის უფრო ცოტა ეიცით მორიდებულ, თავმდაბალ, შრომისმოყვარე ადამიანებზე, რომლებიც „უხმაუროდ“ ცხოვრობენ.

თ. მარკოზაშვილი დაიბადა 1927 წელს ქალაქ თელავში, იქვე მიიღო საშუალო განათლება და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე არქიტექტურის სპეციალობით. ახლა გვახსენდება მისი კურსის მეგობრებს: სწავლის დროს იგი შრომისმოყვარეობით, სიბეჯითით გამოირჩეოდა, ჯიუტად, სხვის დაუხმარებლად აღწევდა საწადელს. ძალზე კეთილი და გულისხმიერი იყო, მოციანინი და ალალი. მეცრეზე დაამორცხვებდა, გაწფილდებოდა და მეცირე უსამართლობაზე აენთებოდა... ეს თვისებები მუდამ თან ახლდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან ტყიბულში დაიწყო მუშაობა „ტყიბულეანახშირის“ ტრესტის სამშენებლო სამმართველოს სპეციალურ კაბინეტში. 1950 წელს თბილისში გადმოიყვანეს „საქქვანახშირსახპროექტის“ ინსტიტუტში და იმავე წელს მიანდეს დიდი ობიექტის დაპროექტება, რომლის მშენებლობა სამ ეტაპად განხორციელდა. ეს არის „საქქვანახშირის“ ტრესტის ოთხ-ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში (ფალიაშვილის ქ. № 39-41). შენობა გამოირჩევა ლაღი პროპორციებით, მხატვრულად გაანზრებული აქცენტებით, კარგად დახატული დეტალებით. იმავე წლებში დააპროექტა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში (თარხნიშვილის ქუჩაზე), საცხოვრებელი სახლი ტყიბულში, ორი საცხოვრებელი სახლი მახარაძეში (არქიტექტორ გ. გოზალიშვილთან ერთად), პიდროელექტროსადგური მდინარე ჩორდახზე და სხვა. იგი თანაავტორია ეკონტუაში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს 250 დამსვენებლისთვის გათვალისწინებული სანატორიუმის სალოცნო და სასადილო კორპუსებისა. 1959 წელს დაპროექტა თბილისში ბავშვაძის პროსპექტსა და კუს ტბას შორის ამჟამად მოქმედი სპორტ საბაგირო გზის ზედა და ქვედა სადგურები. მარტო ობიექტების ჩამოთვლა მოწმობს იმ ინტენსიურ შრომას, რომელიც თ. მარკოზაშვილმა გასწია თავისი მოღვაწეობის უკვე პირველ ათეულ წელს.

იგი ყოველ მის მიერ დაპროექტებულ ობიექტზე ახორციელებდა სისტემატურ საავტორო ზედამხედველობას.

მოგვიანებით თემომ მუშაობა დაიწყო „საქქალაქმშენსახპროექტში“. აქ 1965-1967 წლებში ავტორთა კოლექტივთან ერთად დაამუშავა საბჭოთა კავშირის საპროექტო პრაქტიკისათვის პირველი უნიკალური ობიექტი — ახალ ათონში იკერიის გამოქვაბულის კომპლექსის პროექტი. ეს იყო დაძაბული, შემოქმედებითი ძიების წლები. ამ ხანებში პირადად ჩემთვის ხშირად მოუმართავს თემოს ხან სიძნელის, გაუგებრობის, ხან კი სიხარულის გასაზიარებლად. იგი მუდამ უში